ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №39

20.02.2024 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
10:30 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. რევაზ სოხაძე - კომისიის წევრი;
4. გურამ ოქროპირიძე - კომისიის წევრი;
5. მარიამ ზაქარიაშვილი - კომისიის წევრი;
6. ნინო წულაძე - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032404613-03; 15.02.2024);**

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(16-03240294-03; 29.01.2024);**

3. „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M_2 ან M_3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0324046120-03; 15.02.2024);**

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე სხვადასხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ადგილის ან/და დროის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-106 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0324046120-03; 15.02.2024);**

5. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134^1 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0324046120-03; 15.02.2024).**

მომხსენებლები:

- **მაია გძელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური;
- **ვასილ აბულაძე** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე;
- **დავით ჯაიანი** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

შ.ოგბაიძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და მომხსენებლებს სთხოვა წარედგინათ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032404613-03; 15.02.2024):**

მ. გძელიძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება 2024 წლის 1 იანვრისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების (200 034,9 ათასი ლარი) გამოყენების და მიმდინარე წელს მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, როგორც მან განმარტა, იზრდება სხვა შემოსავლების ნაწილში სანქციები (ჯარიმები და საურავები) – 10 000,0 ათასი ლარით და შემოსავლები კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში

არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ხელშეწყობისთვის - 16 000,0 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლები - 15 000,0 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სულ 241 034,9 ათასი ლარით და შეადგენს 2 004 389,6 ათას ლარს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი პროექტის თანახმად, იზრდება სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ქვეპროგრამის ასიგნებები – 2 038,8 ათასი ლარით. ხოლო, მცირდება საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია ქვეპროგრამის ასიგნებები - 113 082,0 ათასი ლარით.

ამასთან, „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 თებერვლის N65 დადგენილების გათვალისწინებით, მსხვილი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტი, რომელიც აღემატება 20 მლნ ლარის და მეტი ღირებულების პროექტს, ცალკე პროგრამული კოდების სახით უნდა იყოს გამოყოფილი ბიუჯეტში. შესაბამისად, ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ჩამონათვალს ემატება ახალი ქვეპროგრამა - თბილისის ავტობუსების პარკის განახლება - შევსება -118 119,9 ათასი ლარის ოდენობით. ქვეპროგრამის ფარგლებში, გათვალისწინებულია საზოგადოებრივი ტრანსპორტის საიმედოობის, უსაფრთხოებისა და ეფექტურობის გაზრდის მიზნით, საავტობუსო პარკის განახლება - შევსება. განხორციელდება „თბილისის ავტობუსების პროექტის ფარგლებში“ ახალი M3 კატეგორიის 18 მეტრიანი ავტობუსების შეძენა.

მ. გძელიძემ ასევე აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული სსიპ(ებ)-ის და ა(ა)იპ(ებ)-ის საშტატო რიცხოვნობიდან გამომდინარე, დაზუსტდა ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა რიგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებში. მათ შორის, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 100 ერთეულით. ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში განისაზღვრა 4876 ერთეულით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 804 354,7 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 200 034,9 ათასი ლარით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 734 254,7 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო ბიუჯეტის მთლიანი სალდო 165 096,0 ათასი ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 1, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032404613-03; 15.02.2024)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(16-03240294-03; 29.01.2024):**

დ.ჯაიანის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს #580 მარშრუტისთვის (ავტობუსის M_2 კატეგორია) კრწანისის II შესახვევიდან (გრიგოლ ვოლსკის ქუჩის გადაკვეთის მიმდებარე ტერიტორია) ყოველდღიურად მომსახურების დამატებას სსიპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართულებით 08:30 და 18:30 საათებში, ასევე, ყოველ ხუთშაბათს, მითითებული მიმართულებით დამატებითი მომსახურების გაწევას 14:30 და 16:30 საათებში. მოცემული ცვლილება „შენიშვნის“ სახით ჩაემატა ავტობუსის (M_2 კატეგორია) #580 მარშრუტს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(16-03240294-03; 29.01.2024)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M_2 ან M_3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0324046120-03; 15.02.2024):**

ვ. აბულაძემ განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით, ცვლილებები შედის „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M_2 ან M_3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილების დანართში, კერძოდ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით კონკრეტდება, რომ ავტობუსის ძარის ვიზუალური მდგომარეობა აშკარად უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მათი მეშვეობით კონკრეტული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეების გადაყვანის თაობაზე, რათა მაკონტროლებლის და სხვა მძღოლების მიერ მარტივად მოხდეს მათი იდენტიფიცირება. ამასთან, საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასაქმებული პირების სპეციალური რეგულარული

გადაყვანის მარშრუტების დამტკიცების მიზნით, დამსაქმებელის მიერ წერილობითი განცხადებით სააგენტოში წარსადგენ დოკუმენტებს ემატება ავტობუს(ებ)ის პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების წარმატებით გავლის დამადასტურებელი მოწმობა, ვინაიდან, მარშრუტის შეთანხმებისას დადგინდეს მარშრუტზე მოძრავი სატრანსპორტო საშუალების კატეგორია და ასევე, არის თუ არა ის ტექნიკურად გამართული.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 1, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M_2 ან M_3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0324046120-03; 15.02.2024)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე სხვადასხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ადგილის ან/და დროის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-106 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0324046120-03; 15.02.2024):**

ვ. აბულაძის განმარტებით, დადგენილებას პირველი მუხლის შემდეგ ემატება 1^1 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარსადგენ რიგ ინფორმაციას/დოკუმენტაციას იმ პირების მიერ, ვისზეც არ გავრცელდება შეზღუდვები. ამასთან, დანართი ხდება დანართი 1 და დადგენილებას ემატება დანართი 2, რომლითაც განისაზღვრება ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს მიერ ამავე დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული თანხმობის მიცემის წესი, სადაც გათვალისწინებულია თანხმობის მიცემის მიზნით წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა და წარდგენილი დოკუმენტების სააგენტოს მიერ განხილვა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე სხვადასხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ადგილის ან/და დროის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-106

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0324046120-03; 15.02.2024)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

5. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134^1 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0324046120-03; 15.02.2024):**

ვ. აბულაძის განმარტებით**,** დადგენილებაში შესატანი ცვლილების თანახმად, „სააგენტოს თანამშრომლები სამსახურებრივ უფლებამოსილებას, როგორც წესი, სპეციალური ფორმის ტანსაცმლით ახორციელებენ. თანამშრომლის სპეციალური ფორმის ტანსაცმლის ნიმუშებსა და გამოყენების წესს ამტკიცებს სააგენტოს უფროსი.“. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მოხდეს საზოგადოებაში სააგენტოს თანამშრომლების ცნობადობის ამაღლება.

ასევე, როგორც მან აღნიშნა, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური, რომელიც ახორციელებს ჩასატარებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების კონტროლს (ინსპექტირებას), უფლებამოსილია შესასრულებელი სამუშაოების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიაწოდოს წერილობითი ინფორმაცია, სადაც აღნიშნული იქნება, რომ მიმწოდებელი სამუშაოების შესრულებას განახორციელებს შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის (დროებითი ან მუდმივი) შესაბამისად და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური უზრუნველყოფს სქემის შესაბამისად სამუშაოების შესრულების კონტროლს, ამ შემთხვევაში ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ განახორციელებს სამუშაოების მიმდინარეობისას საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის კონტროლს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134^1 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული

- სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0324046120-03; 15.02.2024 განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე